პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ЛЕЛО

№ 238 (3215)

10

1966 წ. დეკემბერი, შაბათი, ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и республиканского Совета профсоюзов

გამოცემის 23-ე წელი

ДАСКВНИТИ АПОРДИ

იაპონიის დედაქალაქის სპორტული საზოგადოებრიობის ყურადღება ამ დღეებში მიპყრობილი იყო საბჭოთა ტანმოვარჯიშეთა გამოსვლებისადმი. ტოკიოში [illegible] ორე დღეს, [illegible] ნირის ლიდერობა [illegible] ლებმა კვლავ ბრწყინვალედ იკარჯიშეს. დვირზე და თავისუფალ ვარჯიშში ტოლი არ ჰყავდათ ნ. კუჩინსკაიას და ზ. დრუჟინინას. პირველობა „ოქრო“ ნოიხვეჭა დვირზე (9,8), ზ. დრუჟინინამ კი — თავისუფალ ვარჯიშში (9,9). ამრიგად, ჩვენი ქალები პირველნი იყვნენ ყველა იარაღზე.

სამაგიეროდ, სუსტად გამოვიდნენ საბჭოთა ტანმოვარჯიშე ვაჟები, განსაკუთრებით, ბჯენით ხტომებში. მსოფლიო ჩემპიონმა მ. ვორონინმა მხოლოდ 9,5 ქულა დაიმსახურა და იაპონელ ხირაისთან ერთად IV-V ადგილები გაიყო. აქ საუკეთესო იყო ვატანაბე (9,725). ორძელზე ყველას აჯობა ნაკაიამამ — 9,8. II-III-IV ადგილები გაიყვეს კატომ, ვორონინმა და დიომიდოვმა — 9,75 თვითეულს.

ხელის დაზიანების გამო ღერძზე არ გამოსულა ვორონინი. აქ პირველნი იყვნენ ნაკაიამა (9,75) და კატო (9,7). დიომიდოვმა, კლიმენკომ, ვატანაბემ, უედამ და აიბამ დააგროვეს 9,6 ქულა თვითეულმა. ამრიგად, ვაჟთა შორის „ოქრო“ თანაბრად გაიყო: 3 ერგო ჩვენს ტანმოვარჯიშეებს, 3 — იაპონელებს.

„გაისად უნივერსიადაზე ამავე დარბაზში შეხვედრამდე, შემდეგ მეხიკოს ოლიმპიურ თამაშებამდე“, — შეჯიბრების დამთავრების ცერემონიალის დროს განაცხადა იაპონიის ტანვარჯიშის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტმა კ. ტაკასიმ.

იაპონიის ვაჟთა გუნდის მწვრთნელმა კანეკომ მაღალი შეფასება მისცა საბჭოთა ტანმოვარჯიშეების გამოსვლას, განსაკუთრებით ხაზი გაუსვა კლიმენკოსა და კარასიოვის ოსტატობას. კანეკომ თქვა, რომ ბევრი ახალგაზრდა სპორტსმენის მონაწილეობამ, როგორც ეს ბოსალოდნელი იყო, შეჯიბრება ძალზე გამოაცოცხლა. ეს მატჩები ორივე ქვეყნის სპორტსმენებს უმჯობესად დაეხმარება მეხიკოს ოლიმპიადისთვის „მარათონულ“ მზადებაში.

საქართველოს გუნდი — II ადგილზე

ДОНИС РОСТОВი, 8 დეკემბერი. მოფარიკაველთა კომბინირებულ შეჯიბრებაში, რომელიც მხოლოდ სსრ კავშირის თასის გათამაშებისას ხდება, გაიმარჯვეს უკრაინელებმა. კომბინირებული გუნდების (ესპადრონი, რაპირა — ქალი და ვაჟი, დაშნა) გადამწყვეტ შეხვედრაში მათ დაამარცხეს საქართველოს გუნდი — 8:1. გამარჯვებულთა შორის გამოდიოდნენ ვ. იცკევიჩი, ვ. სტანკოვიჩი, ი. ვიტებსკი და ვ. სიდიაკი.

III ადგილზე გავიდა რსფსრ-ს ნაკრები, ხოლო IV—მოსკოვის კოლექტივი.

მოფარიკაველთა შეჯიბრება ხუთ დღეს გაგრძელდება და მასში 150 სპორტსმენი მიიღებს მონაწილეობას. წინ პირადი შეჯიბრებებია სსრ კავშირის თასზე ცალკეულ იარაღებში.

საკვანძო საათი...

◆ **ᲛᲔᲚᲑᲣᲠᲜᲘ**, 9 დეკემბერი. გამოჩენილმა ავსტრალიელმა სტაიერმა რ. კლარკმა აქ რევანში აიღო ნიჰიერ კენიელ სპორტსმენთან ნ. ტემუსთან, რომელთანაც ივლისში 6 მილზე რბენაში დამარცხდა. მეტოქეები ამჯერად 8 მილზე რბენაში ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს. თუმცა კლარკის მაჩვენებელი — 13.14,0 — ბევრად ჩამოუვარდება მისსავე საუკეთესო დროს (12.50,4), მან მაინც დაახლოებით 100 იარდით ჩამოიტოვა სტუმარი. ყოველივე ამის მიუხედავად, კლარკს ტემუ მექსიკის ოლიმპიური თამაშების ერთ-ერთ ფავორიტად მიაჩნია 10 ათას მეტრზე რბენაში.

◆ **ᲖᲔᲕᲖᲔᲚᲓᲘ**, 9 დეკემბერი. გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის „მფრინავმა მოთხილამურეებმა“ ავსტრიის ამ ქალაქში ჩატარებული ათდღიანი ვარჯიშის შემდეგ შეჯიბრება გამართეს. სტუმართა საუკეთესო მხტომელი, ბოლო მსოფლიო ჩემპიონატის ვერცხლის მედალოსანი დ. ნოიენდორფი მხოლოდ VI ადგილზე აღმოჩნდა, თუმცა მანამდე ძალიან კარგად ხტებოდა. ამჯერად, ყველას აჯობა ზ. კლეკმა — 220,5 ქულა. მანვე განახორციელა ყველაზე გრძელი ნახტომი — 75,5 მ.

◆ **ᲚᲐᲰᲯᲘ**, 9 დეკემბერი. ოლიმპიური ჩემპიონი, სახელგანთქმული ფინელი „მფრინავი მოთხილამურე“ ვ. კანკონენი თავისი ქვეყნის დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილ შეჯიბრებაში გამოვიდა. ეს ასპარეზობა პლუსტმასის ტრამპლინზე გაიმართა. კანკონენმა მოაგროვა 221,6 ქულა (ნახტომები — 50 და 49,5 მ).

ᲥᲔᲚᲘ ᲥᲐᲒᲔᲗᲘ

● **ᲙᲐᲠᲓᲘᲤᲘ**, 8 დეკემბერი. ტოკიოს ოლიმპიური თამაშებისა და ევროპის ჩემპიონმა, უელსელმა ფიზკულტურის მასწავლებელმა ლინ დევისმა განაცხადა, რომ მას განზრახული აქვს განაგრძოს მოყვარული მძლეოსნის კარიერა და მეხიკოში ოქროს მედლის მოპოვებასაც ფიქრობს. წლევანდელ ვაზაფხულზე დევისმა სიგრძეზე ხტომაში თავისი საუკეთესო შედეგი — 818 სმ აჩვენა. გაისად სპორტსმენს იმედი აქვს ეს რეკორდი 823 სანტიმეტრამდე აიყვანოს.

● **ᲢᲝᲙᲘᲝ**, 8 დეკემბერი. „1967 წლის უნივერსიადა გრანდიოზულ სპორტულ დღესასწაულად იქცევა“, — განაცხადა საუნივერსიტეტო სპორტის საერთაშორისო ფედერაციის (ფისუ) პრეზიდენტმა პ. ნებიოლომ მას შემდეგ, რაც მოგავალი ასპარეზობის სპორტული ბაზები შეამოწმა. უნივერსიადაში, რომელიც აგვისტოში გაიმართება, უკვე 33-მა ქვეყანამ განაცხადა მონაწილეობის სურვილი. ტოკიოში ვარაუდობენ 45-50 ქვეყნის 3 ათასზე მეტი ათლეტის ჩამოსვლას. „უნივერსიადა-67“, როგორც ჩანს, თავისი წინამორბედის — ბუდაპეშტის უნივერსიადის რეკორდს გადააჭარბებს (მაშინ შეჯიბრებაში 43 ქვეყანა მონაწილეობდა). იაპონიის დედაქალაქში ეს უზარმაზარი ასპარეზობა გაიმართება 1964 წლის ოლიმპიური თამაშების „ბრძოლის ველზე“. უნივერსიადის ორგანიზატორები მხოლოდ ერთგულ სტადიონთან ახლოს მდებარე საჩოგბურთო კორტებს გადააკეთებენ. სტუმრები იცხოვრებენ ყოფილი ოლიმპიური სოფლის 13 ოთხსართულიან შენობაში.

● **ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘ**, 8 დეკემბერი. პროფესიულ მოკრივეთა „პირველი ხელთათმანი“ — მსოფლიო ჩემპიონი მძიმე წონაში მოჰამედ ალი, რომელმაც ამას წინათ მეზუთედ დაიცვა თავისი ტიტული, 1966 წლის მსოფლიოს საუკეთესო სპორტსმენად აღიარეს. ასე მიაჩნიათ ყოველწლიური გამოკითხვის მონაწილეებს — ევროპის უდიდესი საინფორმაციო სააგენტოებისა და გაზეთების ჟურნალისტებს (გამოკითხვა განახორციელა იუპი-ს სააგენტოს ევროპულმა განყოფილებამ). მოჰამედ ალი (კასიუს კლეი) პირველი მოკრივეა, რომელიც ამ ტრადიციული ანკეტის ლაურეატი გახდა. იუპი-ს ანკეტაში მონაწილეობდა საკდესის სპორტული რედაქციაც, და თითქმის ყველა სპორტსმენი, რომლებიც მან უძლიერესთა ათეულში შეიყვანა, „ფონს გავიდა“. ესენი (მოჰამედ ალის გარდა) არიან: მსოფლიოს VIII საფეხბურთო ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირი ეუსებიო, მსოფლიოს აბსოლუტური ჩემპიონი ტანვარჯიშში მიხეილ ვორონინი, სახელგანთქმული მძლეოსნები ირენა კირშენშტეინი და რონ კლარკი, ინგლისის ფეხბურთელთა ეროვნული ნაკრების წევრი ბობი ჩარლტონი.

● **ᲙᲝᲞᲔᲜᲰᲐᲒᲔᲜᲘ**, 8 დეკემბერი. აქ დამთავრდა კალათბურთელთა ტურნირი — „ოლიმპიური იმედი“. გაიმარჯვეს პროფკავშირთა ნაკრები გუნდის სპორტსმენებმა. II ადგილზე გავიდნენ სსრ კავშირის ახალგაზრდულა ნაკრების წარმომადგენლები, ხოლო III — „დინამო“ ნაკრები.

● **ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘ**, 8 დეკემბერი. აქ გაიმართა ინგლისელ და რუმინელ ძალოსანთა საერთაშორისო მატჩი. გაიმარჯვეს სტუმრებმა — 4:3. თუ დაბალ წონით კატეგორიებში რუმინელთა უპირატესობა აშკარა იყო, მაღალ წონით კატეგორიებში მასპინძლები ჯობდნენ. მსოფლიოს ექს-ჩემპიონმა ლ. მარტინმა (ქვემძიმე წონა) 467,5 კგ დააგროვა.

გამოცემულია პირველად

მაგიდის კალენდარი „სპორტი“

ბევრ საინტერესო ცნობას შეიცავს მაგიდის ილუსტრირებული კალენდარი „სპორტი“, რომელიც 1967 წლისთვის პირველად გამოიცა საბჭოთა კავშირში. კალენდრის შექმნაში მონაწილეობდნენ ცნობილი მეცნიერები, მწვრთნელები, სპორტსმენები, მსაჯები, მწერლები, სპორტული ჟურნალისტები.

კალენდრის მნიშვნელოვანი ნაწილი მიეძღვნა საბჭოთა ფიზკულტურული მოძრაობის მიღწევებს ჩვენი ქვეყნის არსებობის 50 წლის განმავლობაში, სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებებს ფიზიკური კულტურისა და სპორტის შემდგომი განვითარების ღონისძიებათა შესახებ.

ეს საინტერესო „ცნობარი“ მოგვითხრობს მეხიკოსა და გრენობლის ოლიმპიური თამაშებისთვის მზადების ამბებს. რუბრიკით — „საბჭოთა სპორტის გმირები“ დაბეჭდილია პატარა ნარკვევები. სპეციალისტთა რეკომენდაციები ოსტატობის ამაღლებაში დაეხმარება ახალბედა მძლეოსნებს, ფეხბურთელებს, მოკეისტებს, მოციგურეებსა და მოთხილამურეებს. ბევრი სასარგებლო რჩევა განკუთვნილია ტურისტების, მონადირეებისა და მეთევზეებისთვის.

კალენდარი გამოშვებულია 150-ათასიანი ტირაჟით პოლიტიკური ლიტერატურის გამომცემლობის მიერ.

ᲢᲐᲜᲕᲐᲠᲯᲘᲨᲘ

სტუმრად კანადაში

ᲝᲢᲐᲕᲐ, 8 დეკემბერი. კანადაში დიდ ინტერესს იწვევს საბჭოთა ტანმოვარჯიშეების ჩამოსვლა. ამ ქვეყნის სპორტის მოყვარულები პირველად ნახავენ სახელგანთქმული ვეტერანების ბ. შახლინის, ი. ტიტოვის, ვ. კერდემელიდის, პ. ასტახოვასა და ახალგაზრდა ლ. სურმენოვას ვარჯიშს. ამ ჯგუფს შეუერთდებიან იაპონიაში მოასპარეზე ნ. კუჩინსკაია, ლ. პეტრიკი, ზ. დრუჟინინა, ო. ხარლოვა, მ. ვორონინი, ს. დ-ომიდოვი და ვ. კარასიოვი.

საბჭოთა ტანმოვარჯიშეები, რომლებიც აქ ბრიტანეთის კოლუმბიის პროვინციის უნივერსიტეტის მოწვევით ჩამოვიდნენ, გამოვლენ ქალაქებში კალგარიში, ედმონტონში, კალგარიში, ტორონტოში, ოტავაში, ველინგტონსა და მონრეალში.

ᲠᲘᲜᲐᲛᲝᲔᲚᲛᲐ მძლეოსნებმა, სპორტის ოსტატებმა გ. გუდაშვილმა (თბილისი) და ი. კოზელსკიმ (ქუთაისი) კარგა ხანია უძლიერესის სახელი დაიმკვიდრეს საქართველოში: გუდაშვილმა — ბადროს ტყორცნაში, ხოლო კოზელსკიმ — 200 და 400 მეტრზე თარჯრბენში. თანაგუნდელები ახლა სსრ კავშირის ხალხთა IV საიუბილეო სპარტაკიადისთვის ემზადებიან.

ᲡᲣᲠᲐᲗᲔᲑᲖᲔ: საქართველოს ჩემპიონები — მარჯვნივ — ი. კოზელსკი, მარცხნივ — გ. გუდაშვილი.

ფოტო ო. გელაშვილისა.



სპორტული ფეხბურთელთა საგაზეთო

ჩვენს ფეხბურთელ ბიბლიოთეკაში

ასე იჭედება გამარჯვება

ჩვენს ოქროს წყვილს — ლეონიგრადელებს ლიუდმილა ბელოუსოვასა და ოლეგ პროტოპოპოვს რომ შევხვედროდი, ეოსკრესენსკში მომიხდა ჩასვლა.

ოლიმპიური ჩემპიონები მოსკოვის ოლქის ამ ქალაქის სპორტის სასახლეში მოვძებნე. ვფიქრობდი, ახალ პროგრამას ვნახავ-მეთქი, მაგრამ თავდაპირველად იმედი გამიცრუდა. ლიუდმილა და ოლეგი მთელი 2 საათი ერთ ბრუნს უკირკიტებდნენ.

კამათი (ხანდახან ჩხუბსაც რომ ჰგავდა), ძიება (რა მოთმინება ჰყოფნათ?!), ერთი და იგივე ილეთი (რაც უცხო თვალს ასე სრულყოფილი და დახვეწილი ეჩვენება), პაუზა, დუმილი, ფიქრი და კვლავ ის ერთი ილეთი...

უფრო გვიან, ვარჯიში რომ დაამთავრეს, ვკითხე — განა წამება არ არის მთელი 2 საათი ერთი ელემენტის გამეორება-მეთქი?

ოლეგმა მიპასუხა:

— ერთხელ ერთ-ერთი კომბინაციის ნაწილს ვამუშავებდით. წუთის სამ მეოთხედში 184 „ნაბიჯი“ უნდა მოგვეყვანა. სულს ვეღარ ვითქვამდით. ბიბმა, რომელიც ჩვენს ვარჯიშს უყურებდა, გვკითხა, რა დაგემართოთ, განა ეგ ასე ძნელია? წარმოიდგინეთ, ამ შეკითხვამ გაგვახარა. თუ კი შორიდან ისე ჩანს, თითქოს სულაც არ გვიჭირს რთული ილეთის შესრულება, ეს უკვე წარმატებაა.

მაგრამ ბევრმა როდი იცის, რა ძნელია ამ წარმატების მოპოვება. არ იციან ეს ჩვენმა უცროსმა მეგობრებმაც კი. ახლა ჩვენს ეგონოთ რომ ვარჯიშობენ (არ იციან, ან არ სურთ იცოდნენ).

— უკვე 12 წელი გავატარეთ ერთად, — სიტყვა ჩამოართვა ოლეგს ლიუდმილამ, — თითქმის 15 ათასი (გესმით? — ათასი!) საათი შეგალიეთ ვარჯიშს, მაგრამ ის, რაც ამ ხნის მანძილზე მოვამზადეთ, საერთო ჯამში, 45 წუთში შეიძლება შესრულდეს. გაფიქრებაც კი მზარავს.

წვრთნის დროს 10-კილოგრამიან ჭაბარს შემოვიკრავ ხოლმე. ამ ქაბარს რომ შევიხსნი, მგონია, ფრთები შემესხა-მეთქი. ოლეგი 170-კილოგრამიანი შტანგით ვარჯიშობს, მე „საკუთარ“ 45 კილოგრამს ვეფიდები.

... ამ ზაფხულს ჩემპიონები ცივილიზაციას „გაეცნენ“ და მთელი თვე შავ ზღვის პირად, „მდუმარების სამეფოში“ გაატარეს. ოლეგი 5-6 საათი არ ამოდიოდა წყლიდან და არც ლიუდმილა უდებდა ტოლს.

— კარგად დავისვენეთ, — ამბობს ოლეგი, — და იქნებ ამიტომ ასე დიდი გატაცებით ვვარჯიშობთ ახლა. სხვათა შორის, ხშირად გვეუბნებიან, ყმაწვილები აღარ ხართ, ორივე ერთად უკვე 65 წლისა იქნებით, ღაისი დაგიდგათო. მაგრამ გულახდილად რომ გითხრათ, ასე იოლად დანებებას სულაც არ ვაპირებთ. მერე რა, რომ ეკა და გორელიკი ერთად 15 წლით უმცროსები არიან ჩვენზე, რომ ახალგაზრდები არიან დასავლეთგერმანელები გლოკსპუბერი და დანე, ან გდრ-ის სპორტსმენები მიულერი და დალმერი?

მე ძალიან მომწონს დიდი იტალიელის მიქელანჯელოს სიტყვები: „ის, ვინც სხვას მიაყვება, ვერასოდეს დაწინაურდება“. შეიძლება ითქვას, რომ ეს ჩემი და ლიუდას სპორტული დევიზია.

საშუხაროდ, ჩვენი მეტოქეები ზოგჯერ შემოქმედებას გაცილებით ნაკლებ დროს უთმობენ, ვიდრე უბრალო მიმბაძველობას. ამით შორს ვერ წახვალ.

— რას ვამზადებთ ახლა? — კითხვა შემოგვიბრუნა ლიუდმილამ. — დიდი დრო მიაქვს სავალდებულო პროგრამას. ერთი შეხედვით, ყველაფერი იოლია: ჩვენ ხომ ოლიმპიური ჩემპიონები ვართ, გამოცდილება არ გვაკლია, ყველა ელემენტს კარგა ხანია ვიცნობთ. თითქოს დიდი ჯაფაც არ დაგვადგება.

— არა, არა. ყოველივე ეს გაცილებით რთულია. ჩვენ გვდილობთ დავიხმაროთ ფიზიკა, მექანიკა, გეომეტრია, ფსიქოლოგია. მუსიკით „ვეწამებით“ წვრთნისგან თავისუფალ დროს, საათობით ვატრიალებთ ფირფიტებს, დავდივართ კონცერტებზე, ბალეტზე. დღე დღეს მიჰყვეს, კვირა — კვირას, თვეც გავლის, ვიდრე იმას მივაგნებდეთ, რაც გვხურს. ზოგჯერ კი პირიქით, მუსიკას შეეარჩეთ და მერე თვეობით ვეძებთ შესაფერ მოძრაობას. აქაურობა ძალიან მოგვწონს. პირველ შეჯიბრებებამდე, ალბათ, არსად წავალთ. ასპარეზობაში კი ევროპის ჩემპიონატამდე 3 კვირით ადრე ჩავეებმებით. ეს ჩემპიონატი ლიუბლიანაში ჩატარდება.

თავისუფალი პროგრამა თითქმის იგივე დარჩება, მხოლოდ რამდენიმე ახალ ელემენტს თუ ჩავრთავთ.

რა გვსურს ყველაზე მეტად? ამ შეკითხვაზე ლიუდმილა გიპასუხებთ.

—სურვილი არც ისე ბევრი გვაქვს, მაგრამ ცალ-ცალკე ყოველი მათგანი ძალიან დიდი სურვილია, — იცინის ლიუდმილა. — პირველ ყოვლისა, მსურს ლიუბლიანასა და ვენაში, ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონატებში „ექვსიანზე“ გამოვიდეთ.

ინსბრუკის მერე გრენობლზე დავიწყეთ ფიქრი იმიტომ, რომ ოლიმპიურ თამაშებში წარმატებით მონაწილეობა ერთ-ერთი პირველი ამოცანა გახლავთ. უკვე ნათლად გვესახება პროგრამაც ამ ასპარეზობისთვის.

აი, ამ სურვილების გახორციელებისთვის არ ვიზოგავთ თავს და გარწმუნებთ, დიდი ჯაფაც გვადგას. მაგრამ... ჩვენ სწორად ვიხსენებთ ერთი დანიელი ბალერინას წერილს. გგწერდა, მუხლის მძიმე ტრავმის გამო სცენა მივატოვე, სასოწარკვეთილებამ შეშიაყრო, მაგრამ თქვენი გამოსვლა რომ ვნახე ტელევიზიით, ძალა მოვიკრიბე, მკურნალობა განვაგრძე, ფიზკულტურას მოვკიდე ხელი და ბალეტს დავუბრუნდიო...

დღერამდანი, თუნდაც ასეთი წერილისთვის ღირს შრომა.

ა. პისკარიოვი.





სურათზე: ლ. ბელოუსოვა და ო. პროტოპოპოვი შეჯიბრებისას.

ფოტო ო. ნეიოლოვისა.

მანპანე

საერთაშორისო სამეცნიერო ექსპერიმენტმა სტენფორდის უნივერსიტეტისა (აშშ) და სსრ კავშირის თეორიული და ექსპერიმენტული ფიზიკის ინსტიტუტის მათემატიკოსთა ერთობლივ წოდებულმა „საჭადრაკო მატჩმა“ ელექტრონული მანქანებით საზოგადოებრიობის დიდი ინტერესი გამოიწვია. ამასთან დაკავშირებით, საკდესის კორესპონდენტი დ. დმიტრიევი ესაუბრა თეორიული და ექსპერიმენტული ფიზიკის ინსტიტუტის დირექტორს, აკადემიკოს ა. ალიხანოვს და სთხოვა მოეთხრო „სწავლული პროგრამისტების“ უჩვეულო ასპარეზობის შესახებ.

— ზოგიერთი ტყუილუბრალოდ დაობს იმის თაობაზე, ვინ მოიგებს ამ მატჩს, ჩვენ თუ ამერიკელები, — თქვა აკადემიკოსმა ა. ალიხანოვმა. — საქმე სულ სხვაა. ეს სპორტული შეჯიბრება რომ [illegible] ისაა, რომ [illegible] მეცნიერება — [illegible] ლი პროგრამა[illegible] [illegible]რება „მოაზრ[illegible] [illegible]ების“ შესახებ [illegible] რომ ჩვენმა [illegible] [illegible]ბმა ძალიან [illegible] ვეს. მნიშვნელ[illegible] [illegible]ლეური [illegible] [illegible]რდა, ამ მიზ[illegible] [illegible]სვლამ უკვ[illegible] [illegible]ეფექტი სამეუ[illegible] [illegible]ლობითაც. ა[illegible] ჩვენი ინსტიტ[illegible] [illegible]ტიკოსებმა ს[illegible] [illegible]გრამის ბაზაზ[illegible] [illegible]სრ კავშირ[illegible] [illegible]შემნეს დ[illegible] [illegible]რამა.

[illegible]ნი შემდგომშ[illegible] [illegible]ლებენ მუშაო[illegible] [illegible] დიდად სა[illegible] [illegible] ამ პრობლემებ[illegible] [illegible]მეცნიერთა მ[illegible] [illegible]ტლურად მ[illegible] [illegible]ახალგაზრდობ[illegible] [illegible]კითხვაზე,

ეხიკოს ოლიმპიურ თამაშებამდე ჯერ [illegible] დრია, აცკეტის სტადიონზე კი მუშაობ[illegible] ხომ ოლიმპიადის ბაზეინო გახსნა, დახურვა და [illegible] თა ტურნირის ფინალი უნდა გაიმართოს.... [illegible] სურთ ასპარეზი საუკეთესოდ მოაწყონ. ამ ს[illegible] [illegible]რედ აცკეტის სტადიონზე მოფუსფუსე მუშებს ხ[illegible]

ყოველი

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სპორტსმენთა წვლილი

„...როგორც ბებერ, ვაღმოხდილ ცხენს...“

ერთი ანეკდოტის კვალდაკვალ

მხრიდან

ვიეტნამელი ხალხისთვის

გდრ-ის ერთ-ერთი მოწინავე კლუბის „ასკ ფორვერტსის“ (პოტსდამი) საუკეთესო ტანმოვარჯიშეების საჩვენებელი გამოსვლა მოაწყეს დრეზდენში. „გიგიენე-მუზეუმის“ დიდ დარბაზში მათ საგრძნობლად მაღალი ოსტატობა უჩვენეს მაყურებლებს. განსაკუთრებით გამოირჩეოდა გდრ-ის ცნობილი ტანმოვარჯიშე დელინგი, რომელმაც ბრწყინვალედ ივარჯიშა რგოლებზე.

დარბაზში ნემსი არ ჩავარდებოდა. მაყურებლები მკუხარე ტაშით შეხვდნენ ცნობას, რომ საჩვენებელი გამოსვლის მთელი შემოსავალი ამერიკელ აგრესორთა წინააღმდეგ მებრძოლი ვიეტნამელი ხალხის დახმარების ფონდისთვის იყო განზრახული.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სოლიდარობა ვიეტნამის გმირ ხალხთან ყოველდღიურად მტკიცდება. დიდი გამოხმაურება მოჰყვა რესპუბლიკის ტანმოვარჯიშეთა ეროვნული ნაკრების შეჯიბრებამ, რომელიც, აგრეთვე, ამერიკელ აგრესორთა წინააღმდეგ ბრძოლას მიეძღვნა. ამ და სხვა ასპარეზობებში სპორტსმენებმა ასობით ათასი მარკა შეაგროვეს გმირი ვიეტნამის დასახმარებლად.

უეცანსკი ვილას ახსოვს!

ახლახან ბერლინში დამთავრდა მსოფლიო ჩემპიონატი ძალოსნობაში. ასპარეზობისას საბჭოთა სპორტსმენები ხშირად ეკითხებოდნენ ამერიკელ კოლეგებს ამჟამად სადაა, ან რას აკეთებს შტანგის განმეორებული ოსტატი ნორბერტ შემანსკი. ამერიკელი ათლეტები დუმდნენ, ოფიციალური მოდვაწენი კი ირწმუნებოდნენ, შემანსკიმ სპორტი მიატოვა და „ახლა თავისი სპეციალობით“ მუშაობსო.

ამერიკულ პრესაში მხოლოდ ახლა გამოჩნდა ნამდვილი ცნობა შემანსკიზე.

ზას 42 წელი შეუსრულდა. ეს საკმაოდ საპატიო ასაკია ძალოსნისთვისაც კი და შემანსკი, უბრალოდ, იძულებული შეიქნა მიეტოვებინა საყვარელი სასეობა. ტოკიოს ოლიმპიური თამაშების ბრინჯაოს მედალოსანი, კაცი, რომელმაც თავისი სპორტული ცხოვრების მანძილზე ამერიკას მსოფლიო ჩემპიონის 3 ტიტული და 23 მსოფლიო რეკორდი მოუპოვა, დიდხანს ამაოდ ლამობდა ხელთ ეგდო წყვრთნელის ადგილი აშშ-ის რომელიმე ძალოსნურ კლუბში. ამერიკის სამოყვარეულო სპორტის ასოციაციამ (ააიუ) ვერ უშოვა სამუშაო შემანსკის.

მთელ მსოფლიოში გამოქცეული ძალოსანი ხელცარიელი დაბრუნდა მშობლიურ ჭალაკში — დეტროიტში. მისი პროფესია ლუდის ხლია. ადრე ამერიკის პრესა შემთხვევას არ გაუშვებდა, რომ არ დაწერა: „დეტროიტელი მსოფლ[illegible] ლუდისმხდელიაო“, მაგრამ ახლა „პირველმა ლუდისმხდელმა“ დეტ[illegible] [illegible]ნოა ადგილი.

ოთხი შვილის მამა შემთხვევით თუ წააწყდება რამე სამუშაოს [illegible] ოჯახს. „სამუშაოს რომ ვეძებ, — ამბობს შემანსკი, — ასე მგონია, [illegible] საერთოდ არავინ მიცნობს. ააიუ კი ოდნავადაც არ ცდილობს მორალ[illegible] ნეულოს. ერთი სიტყვით, დამივიწყეს, როგორც ბებერ, ვალმოხდილ ცხ[illegible]

ყველას თითო ბურთი...

ანეკდოტად ჰყვებიან: ქალმა, რომელიც პირველად დაესწ[illegible] თელთა მატჩს, გულმტკივნეულად იკითხა — რატომ დასდევ[illegible] ერთ ბურთს ასე გაქცევითი, განა არ შეიძლება, ყველას თითო [illegible] სცენ, რომ არც კისრისტეხა დასჭირდეთ და არც ნервები [illegible]

მისი რჩევა, ალბათ, სამუდამოდ დარჩებოდა კონფერანსიე[illegible] დიებისა და სახუმარო სიგაზეთო რუბრიკების კუთვნილება[illegible] თის ბელგიელ სპეციალისტებს ახლახან საინტერესო თამ[illegible] ჩაეტარებინათ.

ამ თამბირზე ბევრი პრობლემა განიხილეს: შემტევი და [illegible] ფეხბურთი, თანამედროვე ფეხბურთის ტაქტიკა და სტრატ[illegible] [illegible]ულდა ითამაშო სისტემით 4+2+4, 4+3+3 და ა. შ. მაგრამ [illegible] ინც თანამედროვე ფეხბურთის დონის ამაღლების საკითხი გა[illegible] [illegible]ერად ამ საკითხის გადაჭრა გადაწყვიტა წარსულში ცნობილმა [illegible] ლმა, ამჟამად საფეხბურთო ექსპერტმა ვინეკენმა. მან შემოტ[illegible] [illegible]ება მომავალში გუნდებმა ერთი კი არა, ორი ბურთით ი[illegible] [illegible]თმა უნდა, ყველა მატჩს ორი მსაჯიც უნდა ჰყავდეს, მათგან [illegible] „თავს ბურთს უნდა ადევნებდეს თვალს“.

„ჩემი წინადადება, — ხაზგასმით აღნიშნა ვინეკენმა, — [illegible] ახალ ეპოქას შექმნის და განსაკუთრებულ სიმძაფრეს შემატ[illegible] ორი ბურთით რომ მოიგოს, ყოველ ფეხბურთელს გაორკეცებ[illegible] [illegible]ლება, ტექნიკა და სისწრაფე დასჭირდება. მწვრთნელებმა თ[illegible] [illegible]ბენტირული ბევრი კი არ უნდა შეადგინონ, როგორც ეს ახლა [illegible] [illegible]ედ ბრძოლას მთელი სტრატეგიული პანორამა. რასაკვირველ[illegible] [illegible]ბაყურებლების ინტერესიც „შეჯიბრებისადმი“.

ვინეკენი არ დაგიდევთ, მითვლიან თუ არა მის წინადადებ[illegible] [illegible]ყვიტა თვად გამართოს საჩვენებელი თამაში ორი ბურთით.

ყოველ

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სპორტსმენთა წვლილი

„...როგორც ბებერ, ვაღმოხდილ ცხენს...“

ერთი ანეკდოტის კვალდაკვალ

მხრიდან

ᲙᲚᲣᲑᲘᲡ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ

ᲛᲔᲠᲕᲘᲡᲘ ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲐ

ᲒᲠᲔᲜᲝᲑᲚᲘ ᲓᲦᲔᲡ

ᲐᲕᲢᲝᲡᲢᲠᲐᲓᲔᲑᲖᲔ მოკიბეფ ᲒᲘᲤᲩᲘ და ᲮᲣᲗᲘ ᲠᲒᲝᲚᲘ ᲧᲝᲕᲔᲚ მგზავრს მოაგონებს, რომ ᲯᲠᲔᲜᲝᲑᲚᲘ, ᲤᲠᲐᲜᲒᲣᲚᲘ დეპარტამენტის — დოფინეს ცენტრი — X, საიუბილეო „თეთრი ოლიმპიადის“ დედაქალაქია.

„ქალაქი მშენებელთა ხელშია. ჭიანქველებივით ირევიან. ყურთასმენა აღარ არის საბარგულების, ბულდოზერების და ექსკავატორების ჯუგუნისაგან. ახალი შენობების კარკასებზე ვეება ამწეები ტრიალებენ“, — წერს გაზეთ „მონდის“ ფურცლებზე რ. მარსიაკი.

ზამთრის თამაშებამდე 14 თვე დარჩა. თითქოს დიდი დრო, მაგრამ შენებლები მაინც ჩქარობენ: 1967 წლის იანვარ-თებერვალში გრენობლში ჩატარდება საერთაშორისო შეჯიბრებები ვრცელი პროგრამით, იმ „ოლიმპიური კვირეულების“ მსგავსად, მეხიკოში რომ იმართება.

თუმცა, „თეთრი ოლიმპიადის“ საორგანიზაციო კომიტეტის ხელმძღვანელები გვაფრთხილებენ — ეს ასპარეზობა ზამთრის თამაშების გენერალური რეპეტიცია სულაც არ არისო. მანამდე ჯერ ადრეა. მაგრამ მზა ნაგებობების, სამოთ-სათხილამურო და ბობსლეის კილომეტრნახევრიანი ყინულის ტრასების შემოწმების დრო კი უკვე დადგა.

თავდაპირველ საჭაშნიკოდ საფრანგეთის ჩემპიონატებიც კმაროდა. ამ შეჯიბრებაში ნათლად გამოჩნდა ის, რაც გაკეთდა და ისიც, რაც აწი უნდა გაკეთდეს. მაგალითად, საჭირო გახდა სამთო-სათხილამურო ტრასების გაწმენდა. თამაშების ორგანიზატორებს სურთ იცოდნენ ცნობილი უცხოელ სპეციალისტთა და მომავალ ოლიმპიელთა აზრიც.

ალპების მწვერვალებით შემოჯარული გრენობლი თითქოს თავად ბუნებას აურჩევია ზამთრის სპორტის ასპარეზად. აქ უკვე დიდი ხნის წინათ ედოთ ბინა მთამსვლელებსა და სამთო-მოთხილამურეებს. მაგრამ მომავალი ოლიმპიადისთვის მაინც ბევრი რამ თავიდან მოსაწყობი მეიქნა, — პირველ ყოვლისა, სარბიელამდე მისასვლელი გზები. ქალაქში ხომ მხოლოდ მოციგურეები, ჰოკეისტები და ფიგურული სრიალის ოსტატები გამოვლენ. სლალომისა და სწრაფდაშვების ტრასა კი შამრუსშია (გრენობლიდან 30 კილომეტრზე). კიდევ უფრო დიდი მანძილია ოტრანსამდე, სადაც მოთხილამურეთა ასპარეზობა ჩატარდება.

დღეს ფრანგი გზის მშენებლები ამაყად აცხადებენ, რომ უკვე გაყვანილი და გაფართოებულია სამთო გზატკეცილების 194 კილომეტრი. ახალ გზებზე მანქანები ორ წყვილად ივლიან. ვისაც ძალიან ეჩქარება, მაგალითად, ჟურნალისტებს, შეუძლიათ შვეულმფრენით ისარგებლონ.

შუა გრენობლში, მისტრალის პარკში, შენდება დიდი სპორტული კომპლექსი. უკვე მზადაა დახურული საციგურაო, რომელიც 3000 მაყურებელს იტევს. ოლიმპიადის დღეებში მას ჰოკეისტების საწვრთნელად და „ბ“ ჯგუფის რამდენიმე მატჩისთვის გამოიყენებენ. მოციგურეებს უკვე ორი თვის მერე გადაცემათ საფრანგეთში პირველი 400-მეტრიანი ხელოვნური ყინულის ბილიკი ღია ცის ქვეშ.

„სტად დე გლიასი“, ანუ ყინულის სტადიონი, „თეთრი ოლიმპიადის“ მთავარი ნაგებობაა. ჟურნალისტებმა იგი „თანამედროვე ტექნიკისა და თამაში არქიტექტურული ჩანფიქრის აპოთეოზად“ მონათლეს. აბა, წარმოიდგინეთ, 12 ათასი კვ მეტრი ყინული და ორი ცილინდრული გუმბათი, სადღაც მაღლა, ვეება შროშანის ფურცლებივით, მსუბუქად რომ ერწყმიან ერთმანეთს.

ყინულის სტადიონზე პირველად ჰოკეისტები გამოვლენ, შემდეგ კი აქ ფიგურული სრიალის ოსტატთა საერთაშორისო საჩვენებელი გამოსვლები მოეწყობა.

გრენობლის 250-ათასიან მოსახლეობას ოლიმპიადამ დიდი სახრუნავი და საფიქრალი გაუჩინა. რა თქმა უნდა, ქალაქის მკვიდრნი ამაყობენ დიდი პატივით. კმაყოფილიც არიან, ვინაიდან მშენებლობამ ბევრს გაუჩინა ლუკმაპური, სამუშაო მისცა. ოლიმპიადა პატარა შემოსავალს ოდენ ჰპირდება საკაჭრო ფირმებს, კაფეებს, რესტორნებსა და სასტუმროებს. მაგრამ ეს მომავლის საქმეა. ჯერ კი, როგორც გაზეთი „ჰუმანიტე“ წერს, ქალაქში ცხოვრება საგრძნობლად გაძვირდა: იმატა სურსათის, ტანსაცმლისა და ბინის ფასმა. ქალაქისა და საგზაო სამშენებლო სამუშაოებს, შეჯიბრების ადგილების მოწყობას, სატელევიზიო კომუნიკაციების გაყვანას და სხვას დიდძალი თანხა დასჭირდა (თითქმის მილიარდი ახალი ფრანკი, როგორც საფრანგეთის ახალგაზრდობისა და სპორტის საქმეთა სამინისტროს მონაცემები მოწმობს). აინაზღაურებს თუ არა გრენობლი ამ დანახარჯს? ან როგორ გამოიყენებენ ახალ ნაგებობებს ზამთრის თამაშების დამთავრების შემდეგ?

საფრანგეთის პრესაში დიდი დისკუსია გაჩაღდა ამის თაობაზე. გაზეთში წერენ, რომ „ოლიმპიური სოფლის“ 3000 ბინას ოლიმპიადის შემდეგ გაყიდიან, ან გრენობლის მეხოვრეებთ მიაქირავებენ. სწორედ ამ ანგარიშით დაიგეგმა ორ და ხუთოთახიანი ბინები.

მაგრამ სპორტული ნაგებობები? იმედოვნებენ, რომ „თეთრი ოლიმპიადის“ მერე გრენობლი ზამთრის სპორტის მეკად იქცევა და მრავალი ქვეყნის ტურისტებს მიიზიდავს. ყოველ შემთხვევაში, — წერს „ჰუმანიტე“, — ოპერაცია „გრენობლი-68“ დიდ მოგებას ჰპირდება მილიონერების — პოტენისა და რიტშილდის ოჯახებს, რომელთაც დიდძალი ადგილ-მამული აქვთ გრენობლსა და მის გარეუბნებში.

იმედი აქვთ, რომ არც დიდებული „სტად დე გლიასი“ დარჩება უპატრონოდ, თუ კი მას ადგილობრივ შუნიციპალიტეტს გადასცემენ. სტადიონის სარბიელი შეიძლება გამოიყენონ კალათბურთისთვის, კრივისთვის, ჭიდაობისთვის, ველოსპორტისთვისაც კი — ასაწყობ ტრიბუნზე. ერთი სიტყვით, ესეც მერმისის საქმეა. ჯერჯერობით კი დღის წესრიგშია თხილამურები, ციგურები, მარხილი...

დიახ, მარხილი თანდათან უფრო ჰოპულარული ხდება მრავალ ქვეყანაში. მას ბევრი თაყვანისმცემელი ეყოლება „თეთრი ოლიმპიადის“ დღეებშიც. მომავალი წლის თებერვალში გრენობლთან ახლოს გაიმართება მსოფლიო ჩემპიონატი ბობსლეიში, რომელიც ერთგვარი წინასაოლიმპიადო რეპეტიცია იქნება.

როგორ გადაიჭრება „თოვლის პრობლემა“? „თეთრი ოლიმპიადის“ მონაწილეებს ახლაც მშრალზე ხომ არ დასცემს თოვლჭყაპი? სინთეტიკისები ირწმუნებიან, ამინდი არ გვიღალატებსო. მაგრამ თამაშების ორგანიზატორები მაინც ამზადებენ მთებში სათადარიგო დისტანციებს, ყოველი შემთხვევისთვის.

გამაღებული მუშაობაა გაჩაღებული ოტრანსში, სპორტის „ჩრდილოეთს“ სახეობათა დედაქალაქში. იქ გაიმართება შეჯიბრებები სათხილამურო რბოლაში, ესტაფეტებში, ბიატლონში, ტრამპლინიდან ხტომაში. უკვე ყველა ტრასა მზადაა. მალე მწყობრში ჩადგება 70-მეტრიანი ტრამპლინი კლიარეს მთაზე. ნის მოსაწყობად 200 ათასი კუბმეტრი მიწა ამოთხარეს და გადაიტანეს. იქვე ახლოს გაკეთდა 40-მეტრიანი ტრამპლინიც. ტრამპლინებისა და მსაჯთა კოშკურების ყველა კონსტრუქცია რკინაბეტონისაა. შეჯიბრებებს თვალყურს ადევნებს 40 ათასამდე მაყურებელი. ყველაზე დიდი, 90-მეტრიანი ტრამპლინი აიგო სოფელ სენ-ნიზიე-დიუ-შაზრეტში. აქედან „თეთრი ოლიმპიადის“ დედაქალაქის დიდებული ხედი იშლება.

გაგახსენებთ, რომ ზამთრის X ოლიმპიური თამაშები გაიხსნება 1968 წლის 6 თებერვალს. იქნებ ზოგს ეს დღე მეტისმეტად შორიც ეჩვენოს, ოლიმპიადის მონაწილეებს კი იგი გიგანტური ნაბიჯებით უახლოვდება.

* * *

ᲐᲛ ᲡᲣᲠᲐᲗᲖᲔ აღბეჭდილია მომავალი „თეთრი ოლიმპიადის“ ცენტრი — გრენობლი. როგორც ცნობილია, მთავარი საასპარეზონი ქალაქის შუაგულშია თავმოყრილი. თქვენ მათ ამ ფოტოზე ხედავთ: 1. დახურულ საციგურაოს; 2. ღია საციგურაოს ხელოვნური ყინულის 400-მეტრიანი ბილიკით; 3. „სტად დე გლიასს“; 4. სტადიონს, სადაც ოლიმპიადის დღეებში ჰოკეისტთა წვრთნა და შეხვედრები გაიმართება.

ᲒᲘ „ᲤᲘᲠᲠᲘᲡ“ ᲡᲬᲐᲕᲚᲝᲑᲔᲜ

...ომ, მთავარი ...ება ახალი ...ისტიკუ- ...ეცნიე- ...ბრაგრა- ...ბატიკოსე- ...ში იმუშა- ...ული წმინდა ...ების გა- ...�ცა დიდი ...ული მნიშვნე- ...ბალითად, ...ბ მათემა- ...ვარ, ისი- ...გაგრძე- ...ამ მხრივ. ...ვნია, რომ ...ცნობილ ...ამსარ აკ- ...ს ნიჭიერი- ...ორ აფა- ...ევ დიდი ...ეფს. აქ ...ურთვლ- ...ინძლებს ...ე სწო- ...ეს.

...ეს პირველი ...ტში ვერ ...ით არჩენს ...ტროტში ...ად გამამხ- ...ეწყებენ“, ...ეხბურ- ...ს ბიჭები ...ურთა მი- ...წყდესო? ...ანტერმე- ...ეხბურ- ...ი რომ არ ...დაცვითი ...ი, როგორ ...ვარი მა- ...ით. სწო- ...ბურთე- ...ი წინადა- ...ამონ. რა ...ითეული ...ბურთში ...ი თამაშს. ...ი ყურა- ...ის ელე- ...ება, არა- ...ი იმატებს ...ან გადა-

ᲛᲝᲗᲐᲕᲐᲠᲘ ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲐ ᲐᲡᲞᲐᲠᲔᲖᲝᲜᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲓᲦᲔᲔᲑᲘᲗ

ᲡᲐᲠᲑᲘᲔᲚᲘ ᲓᲦᲔᲡ

ᲛᲝᲛᲐᲕᲐᲚᲘ ᲬᲚᲘᲡ ᲗᲔᲑᲔᲠᲕᲐᲚᲨᲘ

ᲒᲠᲔᲜᲝᲑᲚᲘᲡ ᲥᲣᲩᲔᲑᲘ

ᲛᲘᲬᲐᲖᲔ ᲒᲐᲛᲝᲠᲩᲘᲚᲘ ᲞᲝᲡᲢᲘᲡᲗᲕᲘᲡ

ᲛᲔᲠᲕᲘᲡᲘ ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲐ



თამაზ გიორგაძემ შეასრულა ოსტატის ნორმა

ბაქო, 9 დეკემბერი (**ტელეფონით, ჩვენი სპეც. კორ.**). გუშინ ამერკავკასიის უძლიერეს მოჭადრაკეთა ტურნირის დასკვნით, XV ტურში გაფრინდაშვილმა მოუგო დემირხანიანს, ყაიმით დასრულდა პრივოროტსკი — გიორგაძის, ლომაია — ჩიქოვანის, პავლენკო — ბაგიროვასა და ლ. გრიგორიან — ბოკუჩავას შეხვედრები.



სურათზე: თბილისელი მოჭადრაკე თამაზ გიორგაძე.

ბაქოში ტურნირის მთავარი ღირსება ისაა, რომ მან აღადგინა „უმაღლეს დონეზე“ ამიერკავკასიის მოჭადრაკეთა ასპარეზობის ტრადიცია. რა თქმა უნდა, ბ. გურგენიძესა და რ. ჯინჯიხაშვილს რომ მიეღოთ მონაწილეობა, იგი კიდევ უფრო საინტერესო იქნებოდა.

ტურნირის შედეგებმა არა მგონია დააკმაყოფილოს საქართველოს წარგზავნილები. სათანადოდ მომზადებული რომ ყოფილიყვნენ, ჩვენი მოჭადრაკენი უკეთ გამოვიდოდნენ. შემთხვევითი როდია თ. გიორგაძისა და გ. მაჭავარიანის კარგი თამაში. თამაზი სერიოზულად ემზადებოდა ძნელი ტურნირისთვის, ოსტატის ნორმის შესრულება სწადდა. გურამმა კი ბაქოს საგზური საუტიკ ბრძოლაში მოიხვეჭა, რაც მისთვის საუცხოო პრაქტიკა აღმოჩნდა.

● ცალ-ცალკე ხომ არ დაახასიათებთ ჩვენი მოჭადრაკეების თამაშს?

— პირველად მინდა ვილაპარაკო თამაზ გიორგაძეზე. ამ 18 წლის ჭაბუკმა საუცხოო შთაბეჭდილება დატოვა მონდომებული თამაშით და ოსტატის ნორმაც შეასრულა. აღსანიშნავია, რომ ჩვენს ექვს მოჭადრაკესთან შეხვედრისას თამაზმა მხოლოდ 3 ქულა მოაგროვა, აზერბაიჯანელ და სომეხ კოლეგებთან ასპარეზობისას კი — 8-დან 6 ქულა!

დასანანია, რომ ოსტატის ნორმა ვერ შეასრულა გ. მაჭავარიანმა, თუმცა იგი ბოლო დღემდე ინარჩუნებდა ამის შანსს. მან სანაქებოდ ჩაატარა მთელი ტურნირი.

ჩიქოვანმა ბრძოლა ორი წაგებით დაიწყო და ნაგვიანევმა მონდომებამ ვერ აუნაზღაურა სტარტზე დაკარგული. ბოკუჩავას აშკარად არ გამოსდიოდა თამაში, ხოლო ბუსლაევი და ლომაია ყველა შეხვედრას თანაბარი ძალით ვერ ატარებდნენ. უნდა ითქვას, რომ ბაქოში ბუსლაევის გამგზავრების საკითხი მეტისმეტად გვიან გადაწყდა და, ცხადია, იგი სათამაშოდ ვერ განეწყო.

● თქვენზე რაღას გვეტყვით?

— თავიდან არც მე ვაპირებდი ბაქოში გამგზავრებას და ამიტომ არ მოვმზადებულვარ. მაინც უკეთ უნდა გამოვსულიყავი. აი, თუნდაც ლ. გრიგორიანთან მოსაგები პარტია რომ არ წამეგო... უდროო დროს შევწირე ლაზიერი, მაშინ, როცა მარტივი გზით შემეძლო გამარჯვება. კომბინაციის გაანგარიშებაში შევცდი. არც პავლენკოსთან მქონდა უარესი პოზიცია, მაგრამ დამქანცველმა თამაშმა თავისი ვაიტანა და წამიერი მოდუნება ქულად დამიჯდა.

ვაჟთა ტურნირებში მონაწილეობა მუდამ კარგ წვრთნად მიმაჩნია. ამ თვალსაზრისით თუ ნივუდგებით ჩემს შედეგებს ბაქოს ტურნირში, ვფიქრობ, ამაოდ არ დამშვრალვარ.

● აზერბაიჯანელმა და სომეხმა მოჭადრაკეებმა რა შთაბეჭდილება მოახდინეს თქვენზე?

— ლ. გრიგორიანი ძლიერი ოსტატია და მომავალში უთუოდ წარმატება ელის. მისი ძმა კარენი კი, რომელიც აგრეთვე ოსტატია, არ ტოვებს დიდ შთაბეჭდილებას. ბაქოელებს საიმედო ძალა ჰყავთ ვ. ბაგიროვის, ო. პავლენკოსა და ო. პრივოროტსკის სახით.

ვფიქრობ, მომმე რესპუბლიკების მოჭადრაკეთა შეხვედრებმა — გუნდურმა და პირადმა — სისტემატური ხასიათი უნდა მიიღოს, როგორც ეს 30-ან წლებში ყოფილა. ასეთი შეხვედრები ხელს შეუწყობს ჩვენს საერთო წინსვლას, ახალი ოსტატების გამოვლენას და, რაც მთავარია, მეგობრობას.

ᲭᲐᲓᲠᲐᲙᲘ

ნუ დავკარგავთ ტრადიციას!

„ᲚᲔᲚᲝ“ ᲘᲜᲢᲔᲠᲕᲘᲣ

გუშინ ჩვენი კორესპონდენტი ტელეფონით დაუკავშირდა ბაქოს ტურნირის მონაწილეს, მსოფლიო ჩემპიონს ნონა გაფრინდაშვილს და ინტერვიუ ჩამოართვა მას.

● როგორ აფასებთ ტურნირის შედეგებს?

— ბაქოს ტურნირის მთავარი ღირსება ისაა, რომ მან აღადგინა „უმაღლეს დონეზე“ ამიერკავკასიის მოჭადრაკეთა ასპარეზობის ტრადიცია. რა თქმა უნდა, ბ. გურგენიძესა და რ. ჯინჯიხაშვილს რომ მიეღოთ მონაწილეობა, იგი კიდევ უფრო საინტერესო იქნებოდა.

ტურნირის შედეგებმა არა მგონია დააკმაყოფილოს საქართველოს წარგზავნილები. სათანადოდ მომზადებული რომ ყოფილიყვნენ, ჩვენი მოჭადრაკენი უკეთ გამოვიდოდნენ. შემთხვევითი როდია თ. გიორგაძისა და გ. მაჭავარიანის კარგი თამაში. თამაზი სერიოზულად ემზადებოდა ძნელი ტურნირისთვის, ოსტატის ნორმის შესრულება სწადდა. გურამმა კი ბაქოს საგზური საუტიკ ბრძოლაში მოიხვეჭა, რაც მისთვის საუცხოო პრაქტიკა აღმოჩნდა.

● ცალ-ცალკე ხომ არ დაახასიათებთ ჩვენი მოჭადრაკეების თამაშს?

— პირველად მინდა ვილაპარაკო თამაზ გიორგაძეზე. ამ 18 წლის ჭაბუკმა საუცხოო შთაბეჭდილება დატოვა მონდომებული თამაშით და ოსტატის ნორმაც შეასრულა. აღსანიშნავია, რომ ჩვენს ექვს მოჭადრაკესთან შეხვედრისას თამაზმა მხოლოდ 3 ქულა მოაგროვა, აზერბაიჯანელ და სომეხ კოლეგებთან ასპარეზობისას კი — 8-დან 6 ქულა!

დასანანია, რომ ოსტატის ნორმა ვერ შეასრულა გ. მაჭავარიანმა, თუმცა იგი ბოლო დღემდე ინარჩუნებდა ამის შანსს. მან სანაქებოდ ჩაატარა მთელი ტურნირი.

ჩიქოვანმა ბრძოლა ორი წაგებით დაიწყო და ნაგვიანევმა მონდომებამ ვერ აუნაზღაურა სტარტზე დაკარგული. ბოკუჩავას აშკარად არ გამოსდიოდა თამაში, ხოლო ბუსლაევი და ლომაია ყველა შეხვედრას თანაბარი ძალით ვერ ატარებდნენ. უნდა ითქვას, რომ ბაქოში ბუსლაევის გამგზავრების საკითხი მეტისმეტად გვიან გადაწყდა და, ცხადია, იგი სათამაშოდ ვერ განეწყო.

● თქვენზე რაღას გვეტყვით?

— თავიდან არც მე ვაპირებდი ბაქოში გამგზავრებას და ამიტომ არ მოვმზადებულვარ. მაინც უკეთ უნდა გამოვსულიყავი. აი, თუნდაც ლ. გრიგორიანთან მოსაგები პარტია რომ არ წამეგო... უდროო დროს შევწირე ლაზიერი, მაშინ, როცა მარტივი გზით შემეძლო გამარჯვება. კომბინაციის გაანგარიშებაში შევცდი. არც პავლენკოსთან მქონდა უარესი პოზიცია, მაგრამ დამქანცველმა თამაშმა თავისი ვაიტანა და წამიერი მოდუნება ქულად დამიჯდა.

ვაჟთა ტურნირებში მონაწილეობა მუდამ კარგ წვრთნად მიმაჩნია. ამ თვალსაზრისით თუ ნივუდგებით ჩემს შედეგებს ბაქოს ტურნირში, ვფიქრობ, ამაოდ არ დამშვრალვარ.

● აზერბაიჯანელმა და სომეხმა მოჭადრაკეებმა რა შთაბეჭდილება მოახდინეს თქვენზე?

— ლ. გრიგორიანი ძლიერი ოსტატია და მომავალში უთუოდ წარმატება ელის. მისი ძმა კარენი კი, რომელიც აგრეთვე ოსტატია, არ ტოვებს დიდ შთაბეჭდილებას. ბაქოელებს საიმედო ძალა ჰყავთ ვ. ბაგიროვის, ო. პავლენკოსა და ო. პრივოროტსკის სახით.

ვფიქრობ, მომმე რესპუბლიკების მოჭადრაკეთა შეხვედრებმა — გუნდურმა და პირადმა — სისტემატური ხასიათი უნდა მიიღოს, როგორც ეს 30-ან წლებში ყოფილა. ასეთი შეხვედრები ხელს შეუწყობს ჩვენს საერთო წინსვლას, ახალი ოსტატების გამოვლენას და, რაც მთავარია, მეგობრობას.

ᲭᲐᲓᲠᲐᲙᲘ

ᲔᲕᲠᲝᲞᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲝᲑᲐᲖᲔ

ესპანეთი — ირლანდია

ვალენსიაში გუშინწინ ერთმანეთს შეხვდნენ ევროპის ჩემპიონატში მონაწილე I ჯგუფის გუნდები — ესპანეთი და ირლანდია (პირველი მატჩი დუბლინში დამთავრდა ფრედ — 0:0).

ესპანელთა უპირატესობა ნათელი გახდა დასაწყისშივე და უკვე 21-ე წუთზე ხ. მარიამ ზუსტად გამოიყენა ლუისის გადაცემა — 1:0.

27-ე წუთზე ირლანდიელთა მცველმა პერლიმ თავის საჯარიმო მოედანზე ხელით ითამაშა, მაგრამ ჰოლანდიელ არბიტრს ეს შეუმჩნეველი დარჩა. მცირე ხნის შემდეგ მასპინძელთა თავდამსხმელმა პირიმ მეორე ბურთი გაგზავნა მეტოქის კარში — 2:0.

ესპანელები შესვენების შემდეგაც უტევდნენ, მაგრამ ანგარიში აღარ შეცვლილა. საუცხოოდ ითამაშა ირლანდიელთა მეკარე კელიმ.

ესპანეთის ნაკრები ასეთი შემადგენლობით თამაშობდა: ირიბარი, სანჩასი, გალეგო, რეინა, ბეიტია, პაკიტო, ხარა, ლუისი, ანსოლა, პირი, ხოსე მარია. თავი გამოიჩინეს დებიუტანტებმა ხარამ, ხ. მარიამ, ვიოლეტამ, პაკიტომ, ანსოლამ.

I ჯგუფში ახლა ასეთი მდგომარეობაა:

	თ.	ბ.	ქ.
ესპანეთი	2	2:0	3
ირლანდია	3	2:3	3
თურქეთი	1	1:2	0
ჩეხოსლოვაკია	—	—	—

(საქ. ინფ.).

ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲘ ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

ᲔᲕᲠᲝᲞᲘᲡ ᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲘᲡ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲗᲐ ᲗᲐᲡᲖᲔ

ᲮᲣᲗ ᲥᲐᲚᲐᲥᲨᲘ

ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის მერვედფინალური მატჩი შედგა **ამსტერდამში** (ჰოლანდია) ადგილობრივ „აიაქსსა“ და ინგლისის ჩემპიონ „ლივერპულს“ შორის.

მიუხედავად იმისა, რომ მატჩს წმინდა „ინგლისური“ ამინდი დაემთხვა (ნესლი), ინგლისის ჩემპიონმა პირველი ტაიმი კატასტროფულად წააგო — 0:4. შესვენების შემდეგ „აიაქსი“ კიდევ უფრო დაწინაურდა და მხოლოდ ბოლო წუთებზე შეძლეს ინგლისელებმა ერთადერთი საპასუხო ბურთის გატანა — 1:5.

ვაბმეორებითი მატჩი ლივერპულში შედგება 14 დეკემბერს. მიმოიხილველებს მიაჩნიათ, რომ ინგლისის ჩემპიონს ძალიან გაუჭირდება 4 ბურთის განსხვავების „ამოქაჩვა“.

ზაბეუეში (პოლონეთი) საპასუხო მერვედფინალური მატჩი შედგა ადგილობრივ „გურნიკსა“ და ბულგარეთის ცსკა-ს შორის. „გურნიკმა“ 3 „მშრალი“ გოლი გაიტანა მეტოქის კარში, მაგრამ ვინაიდან მას პირველი თამაში წაგებული ჰქონდა ანგარიშით 0:4, მეოთხედფინალში გავიდა სოფიას ცსკა.

გლაზგოში თამაშობდნენ ადგილობრივი „სელტიკი“ და საფრანგეთის „ნანტი“. ისევე, როგორც პირველი მატჩი, „სელტიკმა“ მეორეც იმავე ანგარიშით (3:1) მოიგო და მეოთხედფინალში გავიდა.

ბრიუსელში (ბელგია) საპასუხო მერვედფინალური მატჩი გაიმართა ადგილობრივ „ანდერლეხტსა“ და პრაღის „დუკლას“ შორის. „დუკლამ“ თავის პირველ გამარჯვებას (4:1) დაუმატა მეორეც (2:1) და მეოთხედფინალში გავიდა.

ბუდაპეშტის „წეპშტადიონზე“ ადგილობრივი „ვაშაშის“ შეხვედრამ შილანის „ინტერნაციონალესთან“ ფეხბურთის სამყაროს განუზომელი ინტერესი გამოიწვია. სტადიონზე მოსული 75 ათასი მაყურებელი მოწმე გახდა ძალზე მწვავე და შინაარსიანი ბრძოლისა, რომლის სადავეები თითქმის მთელი 90 წუთის განმავლობაში იტალიელებს ეპყრათ. განსაკუთრებით გამოიჩინა თავი მაცოლამ, რომელმაც მასპინძელთა კარში 2 „მშრალი“ ბურთი გაიტანა.

როგორც ცნობილია, პირველი მატჩიც „ინტერნაციონალეს“ გამარჯვებით (2:1) დამთავრდა. ამრიგად, „ინტერმა“ 2 მატჩი მოიგო საერთო ანგარიშით 4:1 და შეუერთდა გათამაშებას მეოთხედფინალისტებს: მადრიდის „რეალს“, გლაზგოს „სელტიკს“, სოფიას ცსკა-ს, ჩრდილოეთ ირლანდიის „ლინფილდს“ და პრაღის „დუკლას“. მეოთხედფინალში დარჩა 2 ვაკანსია.

• • •

ზაბეუეში 7 დეკემბერს შემდგარი მატჩის გარდა, ყველა თამაში გუშინწინ გაიმართა.

(საქ. ინფ.).

ᲔᲕᲠᲝᲞᲘᲡ ᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲘᲡ ᲗᲐᲡᲔᲑᲘᲡ ᲛᲤᲚᲝᲑᲔᲚᲗᲐ ᲗᲐᲡᲖᲔ

„სპარტაკმა“ დაჭარა ფარ-ხმალი

ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡ ᲙᲕᲚᲘᲡᲬᲘᲜᲔᲑᲘ

ვენა, 8 დეკემბერი. ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასის განმეორებით მერვედფინალურ მატჩში ერთმანეთს შეხვდნენ ადგილობრივი „რაპიდი“ და მოსკოვის „სპარტაკი“. მოწინააღმდეგეთა პირველი შეხვედრა მოსკოვში დამთავრდა ფრედ (1:1) და გადამწყვეტი სიტყვა სწორედ ამ მატჩს უნდა ეთქვა.

2 თამაშის ჯამში

ბრაგაში გუშინწინ გაიმართა ადგილობრივი „სპორტინგისა“ და დიორის „ვაშაშის“ (უნგრეთი) კალენდარული მატჩი. გაიმარჯვეს პორტუგალიელებმა — 2:0. მაგრამ მეოთხედფინალში გავიდა „ვაშაში“, ვინაიდან მან პირველი შეხვედრა „სპორტინგს“ უფრო დიდი ანგარიშით (3:0) მოუგო.

და აი, „ვინერ შტადიონის“ მინდორზე მეტოქენი გამოვიდნენ ასეთი შემადგენლობებით: **„რაპიდი“** — პიხლერი, გეჰჰარდტი, სკოჩიკი, ულმანი, ფაკი, ჰასილი, ფლეგელი, ფრიჩი, სტარეკი, ბიორეგაარდი, კნეცი; **„სპარტაკი“** — მასლაჩენკო, ჟიტკუსი, დიკარევი, მეშჩერიაკოვი, პეტროვი, იანკინი, ლოგოფეტი, რეინგოლდი, ოსიანინი, ბოკატოვი, ჭუსაინოვი. პირველ მატჩთან შედარებით „რაპიდის“ შემადგენლობაში მოხდა 3 ცვლილება, ხოლო „სპარტაკში“ — 4, მაგრამ მოსკოველებს ამან ვერ უშველა.

პირველი ტაიმი მიმდინარეობდა დაძაბულ და დაახლოებით თანაბარ ბრძოლაში და დამთავრდა უშედეგოდ — 0:0. მეორე ნახევრის დასაწყისშივე, მე-4 წუთზე, სპარტაკელთა კარის სიახლოეს გავიდა „რაპიდის“ ნახევარმცველი ფლეგელი (მას მოსკოვში არ უთამაშია), მიიღო ბურთი ფრიჩისგან და უძლიერესი დარტყმით გაგზავნა იგი კარში. ეს იყო ამ მატჩის პირველი და ერთადერთი გოლი. შემდგომში სპარტაკელები ხშირად უტევდნენ, თავდამსხმელები გადიოდნენ მოწინააღმდეგის საკარიმო მოედანზე, მაგრამ მათი დარტყმები უზუსტო იყო.

ფრანგი მსაჯის ფინალურმა სასტვენმა აღნიშნა „რაპიდის“ გამარჯვება.

ამრიგად, ავსტრიელები ანგარიშით 1:0 მეოთხედფინალში გავიდნენ, „სპარტაკი“ კი გამოეთიშა შეჯიბრებას და აჩვენა უფრო უარესი შედეგი, ვიდრე ამ ტურნირის დებიუტანტმა — კიევის „დინამომ“, რომელმაც მეოთხედფინალს მიაღწია.

რედაქტორი მ. ᲙᲐᲙᲐᲑᲐᲫᲔ.

XIV ᲢᲣᲠᲘᲡ „ᲡᲘᲢᲧᲕᲐ“

XXVI ᲓᲔᲙᲔᲛᲑᲠᲘᲡ ᲬᲚᲘᲡ

კიევი, 9 დეკემბერი (**ტელეფონით, ჩვენი სპეც. კორ.**). ფინიში ისე „აეწყო“, რომ ლიდერები ერთმანეთს ხვდებიან. ალბათ, ამიტომ უახლოეს სამ ტურში ნათელი მოეფინება როგორც ჩვენი ქვეყნის ჩემპიონის ოქროს მედლის, ისე პრეტენდენტთა ტურნირის სამი საგზურის მფლობელის ვინაობას. ამ გამოცანის პირველი „სიტყვა თქვა“ XIV ტურმა გუშინ.

საერთო ყურადღება მიიქცია კოზლოვსკაია — ზატულოვსკაიასა და იდელჩიკ — ალექსანდრიას შეხვედრებმა. ცვალებადი წარმატებით მიმდინარეობდა პირველი პარტია: უკეთესი პოზიცია ხან კოზლოვსკაიას ჰქონდა, ხანაც ზატულოვსკაიას. პარტიის გადადების წინ მეტოქენი კიდევ ყოყმანობდნენ და საბოლოოდ... დაზავდნენ.

ალექსანდრია, ისე როგორც ყველა შეხვედრაში, ამ დღესაც უშეღავათოდ იბრძოდა. არც იდელჩიკი გაურბოდა გართულებებს, — მან იერიშიც კი წამოიწყო. თბილისელმა სტუდენტმა სწრაფად უკუაგდო მეტოქის მუქარები და თავად განავითარა მძლავრი კონტრიერიში. იდელჩიკს საკუთარი მეფის უსაფრთხოებაზე მოუხდა ფიქრი, მაგრამ ორი ფიგურის შეწირვით ნანა მიწვდა მეტოქის გვირგვინოსანს და გაამარჯვა.

ამ წარმატებით ალექსანდრია დაეწია ზატულოვსკაიას და „დაეუქრა“ ჩემპიონის ოქროს მედალს.

წინ წაიწია რუბცოვამაც: მან მოუგო მოროზოვას, მედიანიკო